ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ძელქვიანის მაჟორიტარი დეპუტატის, ნიკოლოზ ჩეჩელაშვილის 2021 წლის ანგარიში

2017 წლის 20 ნოემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი , ძელქვიანის მაჟორიტარი დეპუტატი , ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვახორციელებ, ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს. აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს კომისიების მუშაობაში. როგორც საკრებულოს წევრს და ძელქვიანის მაჟორიტარ დეპუტატს , მაქვს ყოველკვირეული შეხვედრები ქალაქის მოსახლეობასთან , შეხვედრის დროს ხდება მათი პრობლემების მოსმენა, რომლებიც ეხება სხვადასხვა საყოფაცხოვრებლო საკითხებს.

მიმდინარე წელს აქტიურად მიმდინარეობდა მოსახლეობასთან შეხვედრები, მოგეხსენებათ, მსოფლიო ებრძვის კოვიდ-19-ის ვირუსს, შესაბამისად უსაფრთხოებისათვის რეგულაციების დაცვით , პანდემიის ფონზე შეხვერდები ხორცილედებოდა ჩემს სამაჟორიტარო უბნებზე, რომლის დროსაც იკვეთებოდა პრობლემები. მოქალექეების მიერ გაჟღერებული საკითხები ძირითადად ეხება გზების, ქუჩების, სკვერების რეაბილიტაციას და ა.შ. კომპეტენციის ფარგლებში ხდებოდა შუამდგომლობით მიმართვა მერიის სხვადასხვა სამსახურებთან.

გარდა ამისა, მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოქალაქეებთან საკრებულოს შენობაში, 2021 წლის განმავლობაში მიღებული იქნა 50-მდე მოქალაქე, მოხდა მათი პრობლემების მოსმენა, კონსულტაციის გაწევა ,განცხადებების მიღება და უფლებამოსილების ფარგლებში დახმარების გაწევა.

2021 წლის განმავლობაში ჩემს სამაჟოროტარო უბანში, კერძოდ ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. ს.მესხის ქ. 4 შეს. დამონტაჟდა ე.წ კუნძული და ასევე დაიდგა სპორტული ტრენაჟორი.
2. ჩატარდა აკ.ხორავას ქუჩის სრული რეაბილიტაცია.
3. მიმდინარეობს გ.ბრწყინვალეს ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია.
4. ზ.ანჯაფარიძის ქ.102 მიმდებარედ დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი.
5. დ.აღმაშენებლის ქუჩის სრული რეაბილიტაცია (მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობა და გზის საფარი)
6. თავისუფლების 3 ჩიხი - გზის საფარის მოწყობა.
7. ი.ჭავჭავაძის გ. 4ა მიმდებარედ დაიდგა საბავშვო ატრაქციონი
8. ი.ჭავჭავაძის გ.34 ბინის ეზოში ჩატარდა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
9. ერისთავის ქ. მესხიშვილის ქ. გ.ბრწყინვალეს ქ. და სინაურის ქუჩებზე გაიწმინდა ღვარსადენი სისტემები.

10. ლ.ასათიანის ქ. 119/1 და 119/4 - ში მოწესრიგდა შიდა ეზო, კერძოდ დაიგო ბეტონის საფარი.
11. ლ.ასათიანის ქ.119/7 შეიცვალა სადარბაზოს კარ-ფანჯრები.
12. ერისთავის ქ. ფოლკლორის უკან შეიცვალა სპორტული ტრენაჟორის სახურავი.
13. ლ.ასათიანის 119/1-ში დამონტაჟდა შიდა გარე განათების ბოძები.
14. ი.ჭავჭავაძის გ. 7 ეზოში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, კერძოდ დამონტაჟდა გარე განათების ბოძები, გაიწმინდა საფარი.
15. ი.ჭავჭავაძის გ. 7-9-11 ეზოში მოსახლეობის მოთხოვნით ბუნებრივი აირის მილის რეკონსტრუქცია-გადატანა.
16. ლ.ასათიანის 143 და ლ.ასათიანის 145 ბინების გარე ფასადების რეაბილიტაცია
17. ი.ჭავჭავაძის გ. 44-ის შიდა გზის მოპირკეთება და სახურავის შეცვლა.
18. ლ.ასათიანის 94 ბინის სახურავი შეიცვალა
19. ლ.ასათიანის 50 ბინის სახურავი შეიცვალა
20. ლ.ასათიანის ქ.119/1 ბინის სახურავი შეიცვალა
21. ი.ჭავჭავაძის გ.38 ბინის სახურავი შეიცვალა
22. ი.ჭავჭავაძის გ. 3ბ დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონი.
23. ი.ჭავჭავაძის 1ბ ეზოში დაიდგა ე.წ ,,ფანჩატური''
24. ი.ჭავჭავაძის გ. 6 ბინის გადახურვა
25. ი.ჭავჭავაძის გ. 9ვ ბინის გადახურვა
26. ძელქვიანის ადმინისტრაციულ ერთეული სამოქმედო ტერიტორიაზე დაიდგა ათეულობით ძელ-სკამი.
27. გაიცა ფინანსური დახმარებები
28. ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეული თხოვნა-რეკომენდაციის საფუძველზე 5 (ხუთ) მოქალაქეს დაენიშნა უფასო კვების პროგრამა მადლიერების სახლში.
29. დ.აღმაშენებლის 37 ბინის მიმდებარედ გადაიბელა ხეები
30. ლ.ასათიანის 139 ბინის მიმდებარედ გადაიბელა 4 ძირი მაღალტანიანი ხე.
31. გაიწმინდა ნინოშვილის ქუჩისა და ინგოროყვას ქუჩის საკანალიზაციო სისტემა.
32. ,,ძელქვიანის'' ადმინისტრაციული ერთეულის მოთხოვნის საფუძველზე ბაგრატიონის ქუჩაზე და ნინოშვილის 5 შეს. გარემონტდა ელექტრო ჯიხურები.
33. სოხუმის ქუჩაზე ყოფილი საკონსერვო ქარხნის მიმდებარედ გაიჭრა არხი.
34. უფასო მგზავრობის ტალონების გაცემა სოც.დაუცველ ოჯახებზე.

2021 წლის განმავლობაში ჩემს სახელზე შემოსული იქნა 60-მდე განცხადება, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, ძირითადად წერილების 90% ეხებოდა ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში , მოხდა ყველა განცხადებაზე რეაგირება, შუამდგომლობით გადაგზავნილი იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მოხდა მათი დაკმაყოფილება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,

ძელქვიანის მაჟორიტარი დეპუტატი

ნ.ჩეჩელაშვილი